



№ 08-141

5 ივნისი, 2012 წ.

საქართველოს მთავარ პროკურორს  
ბატონ მურთაზ ზოდელავას

ბატონო მურთაზ,

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგს ახორციელებს, რისთვისაც პოლიტიკური პარტიების და სხვა პოლიტიკური ძალების ქმედებებს აკვირდება.

მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო სააგენტომ „INFO 9“ ოთხ ივნისს გამოაქვეყნა რეპორტაჟი, რომელშიც მოთხრობილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის - დავით ბეჟუაშვილის მიერ მოსახლეობისთვის სადღესასწაულო სუფრით გამასპინძლების შესახებ.

როგორც ვიდეო რეპორტაჟის ერთ-ერთი რესპონდენტი ყვება, ასურეთობის დღესასწაულის წინა დღეს ჩამოიარეს „მოპატიჟებმა“ და უთხრეს, რომ დავით ბეჟუაშვილი ეპატიჟებოდათ სუფრაზე. სიუჟეტში ასევე ჩანს სადღესასწაულო სუფრის სამზადისი და თავად მაჟორიტარი დეპუტატი. გარდა ამისა, საინფორმაციო სააგენტო წერს, რომ მოსახლეობის ცნობით, დავით ბეჟუაშვილი „მსგავს სუფრებს სხვა სოფლებშიც ინტენსიურად შლის“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საარჩევნო მიზნით ნებისმიერი „ქონების გადაცემა“ სისხლის სამართლის დანაშაულია.

გამომდინარე იქიდან, რომ ბატონი დავით ბეჟუაშვილი არის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, შესაძლებელია სახეზე იყოს სისხლის სამართლის დანაშაული.

მოგმართავთ შუამდგომლობით, გაითვალისწინოთ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტი და შეისწავლოთ გარემოებები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ეკა გიგაური  
აღმასრულებელი დირექტორი